სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 23 0000555916

17/05/2023

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის N 466020 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 28 აპრილის N 472890 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 16 მაისის N01-05-04/64 დადგენილების შესაბამისად სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2023 წლის პირველი მარტიდან პირველ აგვისტომდე 5 (ხუთი) კალენდარული თვის განმავლობაში;

2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2022–2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების

მიხედვით (სტუ-ის რექტორის 2022 წლის 23 სექტემბრის N 1149213 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2023 წლის 6 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;

4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;

6. ამ ბრძანების შესაბამისად, სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 54 სტუდენტი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი – 53 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 33 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 17 სტუდენტი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი –29 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 40 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 58 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 99 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 6 სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 69 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 49 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 58 სტუდენტი;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 7 სტუდენტი.

7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდეს და გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;

9. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან